1 სექტემბერი

2023 პარასკევი

1თეს 4,1-8; ფს 96; მთ 25,1-13

ქმნილების დღე

აჭა, ნეფე მოდის, გამოდით
შესაგებებლად! მთ 25,6

ჰოი, ტკბილი იესო, ყოველი შენი მდა-
ბალი მოწაფის ნეფევ! შევეცდები, დღეს
ყველაფერი შენ მოგიძღვნა, სიხარულით
და მოვალეობით.
შენ უკვე ჩემს გულში მკვიდრობ და იცი,
როგორ გამაოცო შენი სიყვარულის ნიშ-
ნით: მზად ვარ მიგიღო.

2 სექტემბერი

2023 შაბათი

1თეს 4,9-11; ფს 97; მთ 25,14-30

მკირ̃ედში ერ̃თგული იყავი,
მრ̃ავალზე დაგაყენებ̃ მთ 25,21

მე არაფერი მაბადია: ყველაფერი, თვით სიცოცხლეც, მამამ მიბოძა და მისი საო-ცარი გეგმის ნაწილია. ამიტომაც, თავდა-უზოგავად ვიმსახურებ, თავისუფლებითა და სიხარულით,მამის სახლში მყოფი საყვარელი ბავშვი.

3 სექტემბერი

რიგითი XXII კვირადღე, «ა», [II], მწ

2023

კვირა

იერ 20,7-9; ფს 62; რომ 12,1-2; მთ 16,21-27

მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: "შემომიდექი, სატანავ! მთ 16,23

მეც ფრთხილად ვიქნები: არასოდეს შე-ვბედავ იესოს რაიმე ვასწავლო, მუდამ თავმდაბლობით გავყვები უკან. ის თავად იფხიზლებს ჩემზე, გამომასწორებს, ჩემს გულს იმგვარად გარდაქმნის, რომ ვემსგა-ვსო მას და ყველასადმი გულღია ვიყო.

ორშაბათი

1თეს 4,13-18; ფს 95; ლკ 4,16-30

თუფლის სულია ჩემზე ლკ 4,18

უფალო იესო, სულიწმიდა თითოეულ შენს ძმაზეა, ეკლესიაში - შენს სხეულში. ასე ახარებს იგი შენს არსებობას ყველა შემხვედრს: ილაპარაკებს სილაღით, სიტყვები, სიჩუმით, რომელიც სასოებით იქნება სავსე.

5 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

წმ. დედა ტეხეზა კაღკუტელი, +1997, მოწყალების მისიონეს დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

2023

სამშაბათი

1თეს 5,1-6.9-11; ფს 26; ლკ 4,31-37

გაჩუმდი და გადი მაგისგან! ლკ 4,35

თავისი სიტყვით განდევნის იესო კაცისგან იმ სულს, რომელიც აბრკოლებდა მას მოსმენასა და სიკეთის დანახვაში. მადლობა, იესო: შენ ჩემგანაც, შენს მოძმინდან, განდევნი სულებს, რომელთაც შენგან ჩემი დაშორება სწადიათ.

ოთხშაბათი

კოლ 1,1-8; ფს 51; ლკ 4,38-44

ფენდა ვახარო ღმერთის სამეფო ლკ 4,43

იესოს მსგავსად, მეც მჭირდება მამის მოსმენა, რათა ვაუწყო მისი ნება, ადამიანური განწყობებიდან თავისუფალი. სულო წმიდაო, დღეს და მუდამ მიწინამძღვრებ ადამიანთა ჭეშმარიტი სიხარულის წყაროს - ღვთის სამეფოს გასავრცელებლად.

7 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2023 ხუთშაბათი

კოლ 1,9-14; ფს 97; ლკ 5,1-11

ნავიდან ასწავლიდა ხალხს ლკ 5,3

იესოს ერთი რამ სწადია: ყველამ შეიც-
ნოს მამის სიყვარული და ასე იცხოვრონ!
ამიტომაც მიმართავს იგი წარმოსახვას,
ითხოვს დახმარებას, იყენებს მას, რასაც
განგება მის ხელებს მიანდობს...
მოდი, სულო წმიდაო, მაჩვენე დღეს
„ნავი“, საიდანაც შევძლებ ვაუწყო მამის
სიყვარული!

8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა
დ, [ს], თ

2023

პარასკევი

მიქ 5,1-4ა, ან რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;
ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

უწოდებ სახელად იესოს მთ 1,21

მადლობას გწირავთ, კეთილო მამაო, მარიამის სიცოცხლის გამო, რომლის შობას დღეს ვზეიმობთ. ძვირფასია ჩვენთვის მისი სიცოცხლე: იგი ჩვენ ყრმას მოგვიყვანს, ვისაც იოსები უწოდებს სახელს „იესო“: ღმერთი იხსნის! და ახლა, მეც შემიძლია ვუწოდო: „იესო, იესო“, მარიამისადმი სასოებით და მივიღო სიცოცხლე. მადლობა, მარიამ!

შაბათი

კოლ 1,21-23; ფს 53; ლკ 6,1-5

შაბათის ბატონიც არის ძე კაცისა ლკ 6,5

იესო პასუხობს ფარისევლებს; მართალია, ისინი ყველა წესს იცავდნენ, მაგრამ ღმერთთან ჭეშმარიტი ურთიერთობა არ ჰქონიათ: ფულის მოხვეჭას და განდიდებას ეტრფოდნენ, ამიტომაც ვერ გაუგიათ წმინდა წერილი. იესო ცდილობს მიახვედროს მათ, რომ მამა ყოველგვარ სიყვარულზე მაღლა დგას და რომ მისი სიყვარული, თავის მესიაში მყოფი, მისი ყველა „რჯულის“ სათავე და აღსრულებაა.

10 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირადღე, «ა», [III], მწ

2023

კვირა

ეზეკ 33,7-9; ფს 94; რომ 13,8-10; მთ 18,15-20

სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ, მათ შორის მთ 18,20

ყოველთვის ვგრძნობ ჩემში სიხარულს, როცა მორწმუნე ძმებს ვხვდები. მრავალი წლის შემდეგ, განსაკუთრებით მახსოვს, როცა მოძმეთა დახმარებით სასოწარკვეთილებისგან გავთავისუფლდი: იქ, თავის ძმებთან ერთად იყო აღმდგარი იესო და მან წარმოუდგენელი სიხარული მომანიჭა.

ორშაბათი

კოლ 1,24 2,3; ფს 61; ლკ 6,6–11

მერე კაცს უთხრა: 'გაიწოდე ხელი' ლკ 6,10

დიდებულია იესოს საქმენი! ვინც მას ხვდება, ისევე განიკურნება, როგორც დავრდომილი კაცი. სამწუხაროდ, ისეთებიც არიან, რომლებსაც არც იესო უყვართ და არც ადამიანი, მისი სიყვარულის ობიექტი...
მადლობა, იესო, შენი წყალობისთვის და იმისთვის, რომ ნება დამრთე შენი მიღების: შენ კურნავ და ათბობ ჩემს ცივ ხელებს.

12 სექტემბერი

2023 სამშაბათი

კოლ 2,6-15; ფს 144; ლკ 6,12-19

მთაზე სალოცავად ავიდა იესო ლკ 6,12

მშვენიერია, როდესაც ლოცვისთვის შესაფერისი დროსა და ადგილის ძიებაში მყოფ იესოს უყურებ. ვინ იცის, რა მონდომებით შეისმენს მამა იესოს ლოცვას! ის არაფერს ითხოვს თავისთვის, რადგანაც ყველაფერი მამის სიყვარულში უნდა ჩაეფლოს, რომ მასთან ერთი გახდეს და მასთან ერთად მოჰფინოს სიყვარული მთელ სამყაროს.

ოთხშაბათი

კოლ 3,1–11; ფს 144; ლკ 6,20–26

ნეტარნი ხართ, როცა შეგიძულებენ ადამიანები კაცის ძის გამო ლკ 6,22

ჩემი ოჯახის ერთ წევრს შევეხმიანე, ვცდილობდი პატივისცემით და ყურადღებით მოვპრობოდი, მაგრამ... მშვიდად დავითმინე ცოტაოდენი ქიშპობა და მადლობა შევწირე იესოს, მას მერე, რაც შევძელი მიტევება და შერიგება, რაც ჩემგან ითხოვეს.

14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

2023

ხუთშაბათი

რიცხ 21,4-9, ან ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს ძე კაცისა

იო 3,14

იესო იხსენებს მოსეს, როდესაც უდაბნოში ღმერთმა უბრძანა, გველების ნაკბენისგან განეკურნა ადამიანები და ძელზე აღემართა ბრინჯაოს გველი. ვინც მას ღმერთის რწმენით უყურებდა, იკურნებოდა. მსგავსადვე უთხრა იესომ ნიკოდემუსს, რომ იგი ამაღლდებოდა, იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი და მაცხოვნებელი მისია. ვინც იესოს უყურებს და აღიარებს, რომ ის უდანაშაულოდ კვდება ჯვარზე, მის მაცოცხლებელ სულს ეზიარება!

15 სექტემბერი

2023

პარასკევი

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თუმცა მე იყო... ისწავლა მორჩილება

ებრ 5,8

ძეო იესო, შენ მარადისობიდან უწყი
მამისადმი მორჩილების სიხარულს და
დიდსულოვანი მსხვერპლის მიძღვნას,
შენ განკაცდი, რათა ჩვენსავით შეგეცნო
მორჩილების ჯაფა.
შენი მწუხარე დედაც ხომ ასე ცხოვრობ-
და: ამიტომაც, ვიღებთ მას დედად და
დად, ვგრძნობთ მის სიახლოვეს ყველა
გასაჭირში.

16 სექტემბერი

2023

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

წმ. კორნელიუს პაპი, +253 და
წმ. კვიპრიანე ეპ., +258, წამებულნი, (მ), წ

შ ა ბ ა თ ი

1ტიმ 1,15-17; ფს 112; ლკ 6,43-49

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ასრულებს მათ... კლდეზე დააფუძნა საძირკველი

ლკ 6,47.48

ეს სახარება ხშირად იკითხება ჯვრისწერის დღეს: ვინც თავის ოჯახს იესოს სიტყვებზე აფუძნებს, სიმყარეს მოიპოვებს! ყოველდღიური ლოცვით შეაღწევს მათ გულებში და მათ ცხოვრებაში ღვთის სიტყვა, მთელი თავისი ძალმოსილებით და გულმოდგინებით. მძიმე დღეებში ისინი დაცულნი იქნებიან.

17 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირადღე, «ა», [IV], მწ

2023

კვირა

ზირ 27,30 28,7; ფს 102; რომ 14,7-9; მთ 18,21-35

რამდენჯერ უნდა მივუტევო? შვიდჯერ?

მთ 18,21-22

ნათელია იესოს პასუხი პეტრეზე: მას სურს, რომ ყოველთვის მიუტევებდეს. იესო ასევე ნათელი და გასაგები იგავით აგულიანებს მას. ჩვენზე სიცოცხლის მონიჭება მამას თავისი საყვარელი ძის სისხლად დაუჯდა. და ჩვენ, განა შეგვიძლია პატიების გარეშე გავუშვათ ჩვენი ძმა? ნამდვილი ბოროტები და უღირსები ვიქნებოდით, სასუფევლისთვის შეუფერებელნი!

18 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV], მწ

2023 ორშაბათი

1ტიმ 2,1-8; ფს 27; ლკ 7,1-10

ისრაელშიც ვერ ვჰოვე
ესოდენი რწმენა! ლკ 7,9

იესო, შენ აღგაფრთოვანა და გაგახა-
რა, რომაელი ასისთავის რწმენამ: ის
თვლის, რომ აუცილებელი არაა მის
სახლში შესვლა, რომელიც იუდეველთა
აზრით უწმინდურია.
შენ გირჩევს მხოლოდ ერთი სიტყვა
თქვა და მისი მსახური განიკურნება.
დღეს სმენად გადავიქცევი შენს სიტყვა-
ზე: ყველგან მივიტან როგორც სინათ-
ლეს, სიმრთელეს და სიმყარეს.

19 სექტემბერი

2023 სამშაბათი

1ტიმ 3,1–13; ფს 100; ლკ 7,11–17

ჭაბუკო, შენ გეუბნები, ადექი! ლკ 7,14

იესო, შენ თანაგრძნობით განიმსჭვალე
იმ საწყალი დედის, ქვრივის მიმართ,
ამიტომაც მოხედე მის გარდაცვლილ
შვილს, რომ სიცოცხლეში გამოგეხ-
მო: შენ ისევ ჩვენთან ხარ, აღმდგარი
და ცოცხალი შენს ეკლესიაში. შენთან
მოგვყავს ახალგაზრდები, ვინც შენს
სიცოცხლეს არ ეზიარება და შენ იმედ-
გაცრუებულს არ გვტოვებ, ვინაიდან
უსაზღვროდ გიყვარს, დედობრივი და
მამობრივი სიყვარულით!

20 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

2023

წმ. ანდრეა კიმის, მღვდლისა და
მეგობართა, წამ., +1839-1866, (მ), წ

ოთხშაბათი

1ტიმ 3,14-16; ფს 110; ლკ 7,31-35

ამბობთ: აჭაა...მებაჟეთა და
ცოდვილთა მეგობარი ლკ 7,34

ბევრის აზრით, ეს ამართლებდა იესოს
უარს. იგივენაირად გაკიცხეს და უარ-
ყვეს ნათლისმცემელი, როცა მარხუ-
ლობდა. მათ, ვისაც ძეობრივი გული
აქვს, ისმენენ იესოს საუბარს და თავის
ცხოვრებას და წმინდა წერილს ადარებს
მას. მისი აღდგომის შემდეგ, ის შეძლე-
ბს ამ სიტყვების თქმას, როგორც ბევრი
იტყვის: იგი იყო „ძლიერი წინასწარმე-
ტყველი სიტყვით და საქმით“.

21 სექტემბერი

2023

წმ. მათე, მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

ხუთშაბათი

ეფ 4,1–7.11–13; ფს 18; მთ 9,9–13

იესომ დაინახა კაცი და თქვა: "გამოიცვალე!" მთ 9,9

წმიდა მათეს, შენ გამორჩეული მოციქული ხარ: შენ თავად იესომ ამოგარჩია ცოდვილად მიჩნეულ კაცთაგან. ამას არც მალავ შენს სახარებაში: შენი მაგალითი ბევრს წააქეზებს, რომ გაბედულად მიუახლოვდნენ იესოს და გაყვნენ მას, მათ ცხოვრებაში არსებული ცოდვების მიუხედავად.

22 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I], მწ

2023 პარასკევი

1ტიმ 6,2-12; ფს 48; ლკ 8,1-3

თორმეტნიც მასთან იყვნენ და...
ასევე ზოგი დედაკაცი ლკ 8,1.2

იესო, უბრალოებით შეუდექი შენს მისიას, როდესაც შენთან სათანამშრომლოდ შეკრიბე უბრალო წრიდან გამოსული ადამიანები, შენი ჭეშმარიტებით და უანგარობით მონუსხულნი. დღესაც მიაბიჯებ და შენს სასოებას თესავ მთელს წუთისოფელში, იესო, იმ უბრალო და-ძმებისგან შემდგარი ეკლესიის მეშვეობით, ვინც თავიანთ ცხოვრებას შენზე აგებენ. მადლობა, რამეთუ მიმიღე მეც!

23 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუც., +1968, (მ), თ

2023 შაბათი

1ტიმ 6,13-16; ფს 99; ლკ 8,4-15

თქვენ მოგეცათ ღმერთის სამეფოს საიდუმლოებათა ცოდნა ლკ 8,10

ვისაც იესო უყვარს, ძალუძს შეიცნოს ის და მისი სამეფო, ხოლო ვისაც არ უყვარს, სხვა რამ იტაცებს, ეგოიზმში რჩება და არ ძალუძს იმ ახალი ცხოვრებით იცხოვროს, როგორც ცხოვრობს მორჩილი იესოსი - მეფისა, ვინც ჩვენს გამო კვდება.

24 სექტემბერი

რიგითი XXV კვირადღე, «ა», [I], მწ

2023 კვირა

ეს 55,6-9; ფს 144; ფილიპ 1,20-24.27; Mt 20,1-16

რაც გერგებათ, მოგცემთო მთ 20,4

მწუხრისპირს ყველამ მიიღო საზღაური: მათ, ვინც მთელი დღე გაისარჯა და ვინც ბოლო საათში იშრომა. პირველნი წუწუნებენ... პატრონი მათ ახალი, უცნობი სამართლით ეპყრობოდა. შევხედოთ ჯვარცმულს და ჩვენც შევძლებთ ამის სწავლას: მან ხომ ავაზაკს იგივე ჯილდო განუმწესა, როგორც მოციქულთ. ამ სამართლით მოქმედებს ის, ვისაც უყვარს და სიყვარულს ქადაგებს.

2023

ორშაბათი

ეზდ 1,1-6; ფს 125; ლკ 8,16-18

ვისაც აქვს, მას მიეცემა ლკ 8,18

სწორედ ასე ხდება! ვინც გული უძღვნა იესოს, ვინც მას მოუსმინა, მისგან მიიღებს წყალობას, მეგობრობას და მასში თანდათანობით ზრდას. მას აქვს ... სიყვარული, ჰყავს იესო. ამიტომაც, ხარობს თავად იესო, როცა ხედავს თავმდაბლობითა და იმედით მის მიმღებ ადამიანებს.

26 სექტემბერი

2023

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამ., +IVს; ნ. ღუიჯი ტეცა, +1923,
წმ. კამიღოს ასუღთა კონგჰეგაციის დამაარსებეღი

სამშაბათი

ეზდ 6,7-8.12.14-20; ფს 121; ლკ 8,19-21

მოვიდნენ მასთან მისი დედა და ძმები ლკ 8,19

იესო მაშინვე აცხადებს, რომ მისი დედა და და-ძმანი არიან ისინი, ვინც „ისმენენ ღვთის სიტყვას და ასრულებენ მას“. ჩვენ მთელი სერიოზულობით მოვუსმენთ მას, და როდესაც მასთან მივალთ რაიმე საჭიროებისთვის, გინდ ჩვენი გინდაც საყვარელი ადამიანისათვის, ის შეგვიცნობს თავის დედად ან და-ძმებად: იმედს არ გაგვიცრუებს!

27 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუც., +1660, (მ), თ

2023

ოთხშაბათი

ეზდ 9,5-9; ფს: ტობ 13,2-5; ლკ 9,1-6

იესომ მოუხმო თორმეტს... ლკ 9,1

იესო, შენ ისევ შენთან გვიხმობ, კვირა-
დღის წირვაზე: გვიმხელ შენს სიყვა-
რულს, ძალას გვმატებ შენი სიტყვითა და
შენი პურით, შემდეგ კი მიგვავლენ. იქ,
სადაც მივდივართ, ოჯახებში და სამსა-
ხურში, ყველა შენ მოგელის...
ისევე მიგიყვანთ ყველგან, როგორც შენს
მოწაფეებს მიყავდი, ვინც სიღარიბით
შეიარაღებულნი გაიხმე შენს მისიაში.

28 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

(15.IX) წმ. აბბა იოსებ აღავეხდელი, აბატი და ეპ., +570; წმ. ვიჩესლავი, წამ., +935; წმმ. ღავხენტი ხუის და მეგ., წამ., +1633-37

2023

ხუთშაბათი

ანგ 1,1–8; ფს 149; ლკ 9,7–9

ადით მთაზე... და დიდებით
გამოვჩნდები ანგ 1,8

წინასწარმეტყველი ტაძრის აღდგენაში ამხნევებს გაძევებიდან დაბრუნებულ ხალხს: „ადით მთაზე, აიტანეთ შეშა...“; ტაძარში გამოავლენს უფალი თავის თავს, გაიხსენებს თავის აღთქმებს და თავის შენდობას გვიბოძებს. აწ, მამის დიდების ტაძარი ჩვენ ვართ – ეკლესია, იესოს მორწმუნენი, თავმდაბლობით, ძმური სიყვარულით, მისი სიყვარული-სადმი თავშეწირვით, თითოეული ჩვენ-განი ააგებს მის ტაძარს.

29 სექტემბერი

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ მთავარანგელოზნი, დ, [ს], თ

(16.IX) წმ. ისააკი და იოსებ, კახნუ-ქაღაქში წამებულნი, +808

2023

პარასკევი

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

იხილავთ გახსნილ ცას და ღვთის ანგელოზებს, აღმავალთ და ჩამომავალთ კაცის ძეზე! იო 1,51

წმინდა სულების ნათელი ლაშქარი გეთაყვანება და გემსახურება შენ, ძეო კაცისა, მჯდომარეო მარჯვენით მამისა. შენ მათ ჩვენს გზებზე გზავნი, რათა გვიმეგზურონ შენსკენ სავალ გზაზე: მიქაელი- რომ დაამარცხოს მაცდური მტერი, გაბრიელი - რომ გაგვიცხადოს ნება შენი, ვითარცა მარიამს, რაფაელი - რომ გაგვამრთელოს სულითა და ხორცით. მადლობა, იესო, რომ გაგვიხსენ გზები სამოთხისკენ, რათა უშიშრად ვიცხოვროთ შენთან ერთად.

შაბათი

ზაქ 2,5-9.14-15; ფს: იერ 31,10-12.13; ლკ 9,43-45

ყველას უკვირდა იესოს ნამოქმედარი ლკ 9,43

ადამიანთა ხიბლი იესოს თავისი მისიიდან როდი აშორებს. იგი, უპირველესად, სწუხს, რომ სწორი ცოდნა მოგვეცეს მასზე: ის არის მესია, თავად ღმერთი, ვინც ინახულებს თავის ერს. მისი უდიდესი სასწაული იქნება ვნება და სიკვდილი, რათა ადამიანებმა სრულად იხილონ ღმრთის სიყვარული და გული გადაუშალონ მას.

იესო, შენ ღირსი ხარ ჩვენი სიყვარულის და ღირსი ხარ, რომ გავიზიაროთ სამსხვერპლო, რითაც ჯვარზე ახვედი.